

საგადასახადო დავების პრაქტიკის გზამკვლევი

ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებული
PwC საქართველოს საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის მიერ

26 თებერვალი 2019
გამოცემა #3



PricewaterhouseCoopers (PwC) საქართველო გთავაზობთ საგადასახადო დავების პრაქტიკას შემოსავლების სამსახურის და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ გამოცემული გადაწყვეტილებების საფუძველზე. ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ საკითხის ფაქტობრივ გარემოებებს, დავის მონაწილე მხარეთა არგუმენტებს და დავის განხილველი ორგანოების მიერ მიღებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს. არსებული გამოცემა ატარებს მხოლოდ ზოგად საინფორმაციო ხასიათს არსებულ საკითხებზე და არ წარმოადგენს პროფესიულ რჩევას.

მიმოვიხილავთ შემდეგ საკითხებს:

საკითხი #1: არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურების დაბეგვრის საკითხი;

საკითხი #2: დაწესებული ფასდაკლებების სტიპენდიის სახით განაცემად განხილვა;

საკითხი #3: სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გახარჯული საწვავის დაბეგვრის საკითხი;

საკითხი #1: არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურების დაბეგვრის საკითხი

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიას რამოდენიმე არარეზიდენტ ფიზიკურ პირთან გაფორმებული ჰქონდა შრომითი კონტრაქტი. იმ პერიოდში, როდესაც აღნიშნული ფიზიკური პირები იმყოფებოდნენ საქართველოში, შესრულებული სამუშაოსათვის გაცემულ თანხებს კომპანია ბეგრავდა ხელფასის სახით განაცემებად 20%-იანი განაკვეთით.

გარკვეული პერიოდის შემდეგ აღნიშნულმა პირებმა დატოვეს საქართველო და შეიცვალეს სამუშაო ტერიტორია, რის შემდეგაც მათთან შრომითი ხელშეკრულება შეწყდა და გაფორმდა მომსახურების კონტრაქტი. მომსახურების კონტრაქტის ფარგლებში, კომპანია გაწეულ მომსახურებას განიხილავდა არარეზიდენტი პირების მიერ გაწეულ მომსახურებად და გაცემულ თანხებს ბეგრავდა 10%-იანი განაკვეთით.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

საგადასახადო შემოწმებამ გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებები ძირითადად არ განსხვავდებოდა შრომითი ხელშეკრულებებისაგან. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულებები შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა მომსახურების ხელშეკრულებას;
- ხელშეკრულების პირობების მიხედვით, აღნიშნული პირები ფაქტობრივად ასრულებდნენ კომპანიის თანამდებობრივ მოვალეობებს;
- გაფორმებული ხელშეკრულებით მომსახურების საზღაური დადგენილი იყო ყოველთვიურად ფიქსირებული ოდენობით;
- მხარეებს შორის არ ხდებოდა მომსახურების გაწევის დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;
- კომპანიას „ბუღალტრულ“ პროგრამაში (მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხები კომპანიას განხილული ჰქონდა როგორც მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურებული თანხები) უფიქსირდებოდა მივლინების ხარჯები;

გამოვლენილ გარემოებებზე დაყრდნობით და გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პირების ურთიერთობა კომპანიასთან მიმართებაში არ შეცვლილა (შეიცვალა მხოლოდ სამუშაო ტერიტორია), არარეზიდენტი პირებისათვის გადახდილი თანხები შემოწმების მიერ, განხილული იქნა ხელფასის სახით განაცემად და დაიბეგრა 20%-იანი განაკვეთით.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანიის პოზიციით, არამართლზომიერი არაფერია იმაში, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ფიზიკური პირი მუშაობდეს კომპანიაში და შემდგომ ამ კომპანიასთან ურთიერთობა გააგრძელოს მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, თუნდაც რომ ახორციელებდეს იმავე საქმიანობას. შრომითი ხელშეკრულება თავისთავად უკვე განსხვავებული სამართლებრივი ურთიერთობაა მომსახურების ხელშეკრულებისგან.

კომპანია განმარტავს, რომ მოვლინების ხარჯების ანაზღაურება არ ქმნის საფუძველს, რომ შეიცვალოს

ოპერაციის შინაარსი. მომსახურების ხელშეკრულებით, მომსახურების მიმღები მხარის მიერ თითქმის ყოველთვის იფარება მგზავრობის, სასტუმროს და სხვა ზედნადები ხარჯები, რაც შეიძლება ამ მომსახურების შესრულებასთან იყოს დაკავშირებული. ასევე, არავითარი სამართლებრივი შეზღუდვა არ არსებობს მომსახურების ფიქსირებულ ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

კომპანიის არგუმენტაციით, კონტრაქტების ცვლილება გადასახადების თავის არიდების მიზნითაც რომ გაეკეთებინა, გადასახადის შემცირება მაინც არ გამოვიდოდა - საშემოსავლო გადასახადის ნაწილში დარიცხული დამატებითი ძირითადი თანხა გამოიქვითებოდა მოგების გადასახადის ნაწილში (2015, 2016 წლებში).

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

საკითხი თავდაპირველად განიხილა შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც მიიჩნია რომ აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია იყო მართლზომიერი და საჩივარი არ დააკმაყოფილა.

დავა გაგრძელდა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ გადაწყვიტა, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ სათანადოდ არ იყო შესწავლილი და შეფასებული სადავო საკითხი. კერძოდ, შესწავლას საჭიროებდა:

- ფიზიკური პირების რეზიდენტობის საკითხი სსკ-ის 34-ე მუხლის შესაბამისად;
- აღნიშნული პირების მიერ მიღებული შემოსავალი წარმოადგენდა თუ არა საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს, სსკ-ის 104-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო საკითხზე შემოსავლების სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საჩივარი ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა შემოსავლების სამსახურს.

წყარო: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #7441/2/2019

საკითხი #2: დაწესებული ფასდაკლებების სტიპენდიის სახით განაცემად განხილვა

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

კომპანია ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას. კომპანიას მოსწავლეებთან გაფორმებული აქვს ინდივიდუალური ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია მომსახურების ღირებულება და ზოგადად კომპანიის მიერ მისანიჭებელი შეღავათების შესახებ ინფორმაცია. შეღავათის მინიჭება ხდება აკადემიური მოსწრებისა (მაღალი შეფასებები და დასწრება) და ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით.

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

საგადასახადო შემოწმებამ მიიჩნია, რომ მინიჭებული შეღავათები შინაარსობრივად წარმოადგენდა სტიპენდიას. სამშემოსავლო გადასახადისგან კი გათავისუფლებულია მხოლოდ სახელმწიფო სტიპენდია. შესაბამისად, შეღავათების თანხებით გაიზარდა ერთობლივი შემოსავალი და ვინაიდან აღნიშნული თანხები დაექვემდებარა სამშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას, ასევე გამოიქვითა როგორც ერთობლივ შემოსავალთან დაკავშირებული ხარჯი. ამასთანავე განისაზღვრა სანქციის ოდენობაც.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანიის განმარტებით, მოსწავლეებისათვის საბაზისო სასწავლო ფასისაგან განსხვავებული ფასის შეთავაზება არ შეიძლება გაიგივებული იყოს სტიპენდიის დანიშვნასთან. (საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მოცემული სტიპენდიის ზუსტი განმარტება).

კომპანიის მიდგომა ითვალისწინებს მაღალი ხარისხის განათლების მიცემას ნიჭიერი მოსწავლეებისთვის, მიუხედავად მათი ფინანსური შესაძლებლობისა. აღნიშნული პრაქტიკა გაცხადებულია გაცნობით ბროშურაში, კომპანიის ვებ-გვერდზე, მოსწავლის შინაგანაწესში და საგანმანათლებლო ხელშეკრულებაში. ამასთან, კომპანიას არ ჰქონია და ეხლაც არ აქვს პრაქტიკა რომელიმე მოსწავლეს დაუნიშნოს ფულადი სტიპენდია.

კომპანიის არგუმენტაციით, დაუშვებელია საბაზისო ფასისაგან განსხვავებულ ფასზე შეთანხმება ჩაითვალოს სტიპენდიად, შემდეგი გარემოებების გამო:

- მოსწავლე, საკუთარი ინიციატივით მიმართავს კომპანიას სასწავლო ფასის შემცირების შესახებ და მხოლოდ კომპანიის

მიერ განაცხადის განხილვის შემდეგ დგება ორმხრივი შეთანხმება ახალ ფასზე. მაშინ როდესაც, სტიპენდიას სასწავლო დაწესებულება როგორც წესი ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე ნიშნავს;

- კომპანია ფასის შემცირების შესახებ მოსწავლესთან მოლაპარაკებებისას არსებითად ითვალისწინებს მოსწავლის ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას. მაშინ როდესაც, სტიპენდია ენიშნებათ მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტებს და სტიპენდიის დანიშვნის დროს უგულვებელყოფილია სტუდენტის ფინანსური მდგომარეობა;
- კომპანიის მიერ სასწავლო ფასის შემცირება ინდივიდუალური მოსწავლისთვის არის მნიშვნელოვანი ფინანსური დაბრკოლების შემსუბუქება, ხოლო სტიპენდია თანხობრივად არის სიმბოლური და მნიშვნელოვნად ჩამორჩება კომპანია ფასდაკლებების მოცულობებს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლამდე პერიოდზე კომპანია შემოწმდა საგადასახადო ორგანოს მიერ. კომპანიას ჰქონდა ანალოგიური შინაარსის ხელშეკრულებები თუმცა, მაშინ სადავოდ არ გამხდარა აღნიშნული და არ მომხდარა სტიპენდიად დაკვალიფიциრება. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომის მიმართ კომპანიას წარმოეშვა კანონიერი მოლოდინი, რომ კომპანიის მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა შეესაბამებოდა საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებს.

უფრო მეტიც, საგადასახადო ორგანომ რომც უკანონოდ მიიჩნიოს რომ კომპანიის მიერ მოსწავლეებთან ახალ ფასზე შეთანხმება წარმოადგენს ფინანსურ შეღავათს, ასეთ შემთხვევაშიც სამშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ვალდებულება არ წარმოეშობა კომპანიას, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლით არ არის გათვალისწინებული ფინანსური შეღავათის გადასახადის წყაროსთან დაბეგვრის ვალდებულება.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები

საკითხი თავდაპირველად განიხილა შემოსავლების სამსახურმა და მიიჩნია, რომ შემოწმების მიერ მართლზომიერად იყო ოპერაცია დაკვალიფიциრებული გაცემულ სტიპენდიად. შესაბამისად, საჩივარი არ დააკმაყოფილა.

დავის მეორე ეტაპზე საკითხი განიხილა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ. საბჭომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- სწავლის საფასურის განსხვავებული ოდენობის დაწესება მხოლოდ კომპანიის გადაწყვეტილებით არ ხდება, ამისთვის აუცილებელია მოსწავლის ინიციატივა და მთელი რიგი პროცედურების გავლა ორივე მხარისთვის მისაღებ ფასზე შესათანხმებლად;
- კომპანიასა და მოსწავლეს შორის განსხვავებულ საფასურზე შეთანხმებისას პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლის ფინანსურ შესაძლებლობებს და არა მხოლოდ მის აკადემიურ მოსწრებას;
- მოსწავლისათვის სწავლის საფასურში ინდივიდუალური შეღავათის დაწესება ხდება სწავლის საფასურის ოდენობის შემცირებით და არა ფულადი განაცემით;

საბჭომ მიიჩნია, რომ საგადასახადო ორგანოს არ აქვს სამეურნეო ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საკმარისი არგუმენტაცია. საბჭოს გადაწყვეტილებით გაუქმდა აღნიშნული საფუძვლით დარიცხული თანხები. კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების დასადგენად გამოყენებული უნდა იყოს სხვა მეთოდი და განხილული უნდა იქნეს თითოეული შემთხვევის ინდივიდუალურად შესწავლის შესაძლებლობა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული საკითხი დამატებითი შესწავლის მიზნით დაუბრუნდა შემოსავლების სამსახურს.

წყარო: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #5621/2/2018

აუდიტის დეპარტამენტის პოზიცია

შემოწმების მიერ გაანალიზდა კომპანიის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შემოსავლების სამსახურის ერთიან საინფორმაციო ბაზაში არსებული სასაქონლო ზედნადებების მიხედვით. კერძოდ, ტრანსპორტირების დაწყებისა და დასრულების ადგილის მიხედვით არსებული მანძილი, კომპანიის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის ხარჯვის ნორმაზე შეპირისპირებით ისეთ ზედნადებებში, სადაც ტრანსპორტირების ხარჯის გამწევად ფიქსირდება კომპანია. შემოწმებით, 2014-2015 წელს გამოვლინდა სხვაობა გახარჯულ საწვავსა და კომპანიის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს შორის.

ვინაიდან კომპანია ეწევა სატრანსპორტო მომსახურებასაც, შემოწმების მიერ გამოვლენილი სხვაობა ჩაითვალა გაწეულ სატრანსპორტო მომსახურებაში გახარჯულად და გახარჯული საწვავის ღირებულება გაანგარიშდა 100%-იანი ფასნამატით (ფასნამატი გაანგარიშდა კომპანიის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების შესაბამისად). მიღებული შემოსავლის ოდენობით გაიზარდა დასაბეგრი შემოსავალი და დღგ-ით დასაბეგრი ბაზა, კომპანიას კი დაერიცხა შესაბამისი გადასახადები და ჯარიმა.

კომპანიის არგუმენტაცია

კომპანია საქონლის რეალიზაციას ახდენს როგორც გადამხდელად რეგისტრირებულ პირებზე, ასევე საბოლოო მომხმარებლებზე. მისი განცხადებით საბოლოო მომხმარებელზე ტრანსპორტირებისას უმეტეს შემთხვევაში სასაქონლო ზედნადები არ გამოიწერებოდა. აღნიშნული ეფუძნება შემდეგ მოსაზრებას, რომ უსაბუთო მყიდველები, რომლებიც არ წარმოადგენენ მეწარმე პირებსაც ანუ გამოდიან საბოლოო მომხმარებლად, რეალურად დაინტერესებული არიან უფრო ნაკლებ ფასში შეიძინონ საქონელი, განსხვავებით დღგ-ის გადამხდელი პირებისაგან, რომლებსაც ჩათვლის უფლების გამო უიაფდებათ შეძენილი საქონლის თვითღირებულება. შესაბამისად მათზე ფაქტობრივად შეუძლებელია საქონლის რეალიზაცია გარკვეული შეთავაზებების გარეშე. სწორედ ამიტომ, ჯანსაღი კონკურენციის შესანარჩუნებლად ასეთ მომხმარებლებს კომპანია ხშირად საქონლის მიწოდებას ტრანსპორტირებით სთავაზობს.

კომპანიის პოზიციით, შემოწმების ეტაპზე წარდგენილი საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციით და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის №230 ბრძანებაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საწვავის ხარჯი

საკითხი #3: სათანადო დოკუმენტური დასაბუთების გარეშე გახარჯული საწვავის დაბეგვრის საკითხი;

საკითხის ფაქტობრივი გარემოებები

კომპანია საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებებით ახორციელებს საკუთარი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ტრანსპორტირებას. ასევე კომპანია სატრანსპორტო მომსახურებას უწევს სხვა პირებსაც.

დაკავშირებულია კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობასთან. კერძოდ, მიწოდებული საქონლის ტრანსპორტირებისათვის მიწოდებულ საქონელზე ამორტყმულია ჩევი და შესაბამისი თანხა ჩართულია ერთობლივ შემოსავალში. შესაბამისად არ არსებობს საწვავის ხარჯის ერთობლივ შემოსავალში ჩართვის საფუძველი.

დავის განმხილველი ორგანოების გადაწყვეტილებები
საკითხი თავდაპირველად განიხილა შემოსავლების სამსახურმა და მიიჩნია რომ არ არსებობდა საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

დავა გაგრძელდა ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში. საბჭომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- გახარჯულ საწვავსა და კომპანიის მიერ დაფიქსირებულ მონაცემებს შორის შემოწმებით დადგენილი სხვაობის სატრანსპორტო მომსახურებაში გახარჯულად მიჩნევა და აღნიშნულით დასაბეგრი შემოსავლისა და დღგ-ის ბაზის გაზრდა არამართლობიერია. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს აღნიშნული საფუძველით დარიცხული თანხები.
- კომპანიას არ გააჩნია შემოწმებით განსაზღვრულ ზედმეტად გახარჯულ საწვავზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისად არ დგინდება აღნიშნულის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების გარემოება. გახარჯული ღირებულება არ უნდა იყოს გათვალისწინებული ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვით ხარჯში და შეძენაზე მიღებული დღგ-ის ჩათვლა უნდა დაექვემდებაროს გაუქმებას.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული მითითებიდან გამომდინარე, აუდიტის დეპარტამენტს დაევალა განხორციელოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება.

იმის გათვალისწინებით რომ 2018 წლის 27 დეკემბრის N4225-რს კანონით საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილებები სანქციების შემსუბუქებასთან დაკავშირებით, აუდიტის დეპარტამენტს ასევე დაევალა გაითვალისწინოს აღნიშნული ცვლილებები გაანგარიშების პროცესში.

წყარო: ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება #5410/2/2018

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 255,000 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 158 ქვეყნის 756 ოფისში.

ჩვენ გთავაზობთ ეფექტურ, ინოვაციურ და პრაქტიკულ საგადასახადო კონსულტაციას, რომელიც მორგებული იქნება თქვენს კონკრეტულ ბიზნეს საჭიროებებზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ჩვენი ცოდნის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია გადავჭრათ თქვენი პრობლემები და შევითანოთ სიცხადე დაბეგვრის საკითხებთან დაკავშირებით.

PwC საქართველო საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებას, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვა.

PwC საქართველოს საგადასახადო დავების გადაწყვეტის პრაქტიკა შედგება საერთაშორისო და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის წამყვანი სპეციალისტებისგან გამოცდილი როგორც ფინანსთა სამინისტროს სისტემის ფარგლებში საგადასახადო დავების გადაწყვეტაში ასევე სასამართლო პროცესებში. ჩვენ მზად ვართ დავებმართოთ კომპანიებს, როგორც საგადასახადო შემოწმების ყველა ეტაპზე, ასევე გასაჩივრების სტადიაზე, რომელიც მოიცავს:

- საგადასახადო რისკების აღმოჩენა და საგადასახადო შემოწმებისთვის მომზადება;
- მხარდაჭერა საგადასახადო შემოწმების დროს;
- საგადასახადო შემოწმების შედეგების გასაჩივრება;
- საგადასახადო ზედმეტობის დაბრუნებაში დახმარება.

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ დავების გადაწყვეტილებებს თქვენს ბიზნესზე



სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: sergi.kobakhidze@pwc.com



გიორგი ჭანტურიძე

უფროსი საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: george.chanturidze@pwc.com



ლადო ჭაბაშვილი

საგადასახადო მენეჯერი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ. ფოსტა: lado.chabashvili@pwc.com



თორნიკე წიკლაური

უფროსი საგადასახადო კონსულტანტი

ტელ.: (+995 32) 250 80 50

ელ.ფოსტა: tornike.tsiklauri@pwc.com

PwC-ში, ჩვენი მიზანია რომ შევექნათ სანდოობა საზოგადოებაში და გადავჭრათ მნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ ვართ კომპანიათა ქსელი, რომელიც წარმოდგენილია 158 ქვეყანაში 255,000-ზე მეტი პროფესიონალით, რომლებიც მოწოდებული არიან, რომ შეიტანონ ხარისხი აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო მომსახურებაში. შეიტყვეთ უფრო მეტი შემდეგ საიტზე www.pwc.com და გვაცნობეთ თუ რა არის თქვენთვის მნიშვნელოვანი. PwC გულისხმობს წევრ კომპანიას საქართველოში, რომელიც წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს. მეტი დეტალი ჩვენი სტრუქტურის შესახებ შეგიძლიათ შეიტყოთ შემდეგ მისამართზე www.pwc.com/structure.

© 2019 შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

